



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030180412114615

№ 01-280/ო

21 / სექტემბერი / 2015 წ.

**„ტუბერკულოზის მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა
(გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო
სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ¹“ და „კ²“ ქვეპუნქტებისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „ტუბერკულოზის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - (დანართი 1);
- ბ) „ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევის მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 2);
- გ) „ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 3);
- დ) „რეგულარული ტუბერკულოზის მკურნალობა“ – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 4);
- ე) „რეგულარული ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი და პირველი რიგის მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი მოვლენების მართვა“ – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 5);
- ვ) „რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 6);

ზ) „რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი და მეორე რიგის მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი მოვლენების მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 7);

თ) „ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის გამოვლენა და მკურნალობა“- კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 8);

ი) „ტუბერკულოზის და აივ ინფექციის მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 9);

კ) „ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა“ – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი 10);


ლ) „ინფორმაცია სერვისის მომხმარებლებისთვის“ - (დანართი 11);

მ) „ინფორმაცია ბედაქილინის შესახებ“ - (დანართი 12).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტუბერკულოზის მართვის“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 22 ივნისის 01-131/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგეენკო